

წლიური ანგარიში 2009



მეცნიერებს უსწვითარებებისათვის

წლიური ანგარიში

2009

მეცნიერებს უახვითაშობისათვის

თბილისი, 2010



კოორდინაცია და რედაქცია: ლელა ხუბუტია
მასალების მომზადება: ნიკოლოზ ბაქრაძე, თედორე დოლიძე, ზურაბ ხიდემელი, ლელა ხუბუტია, მარიამ იაშვილი, ნინო დემეტრაშვილი, დოდო ქვარცხავა, მაკა ქაჯაია, მათა ჭანტურია, ვახტანგ ალანია, ხვიჩა ნაქაძე, თამარ გორგოძე, მათა საბანაძე.
კომპილაცია და გრაფიკული უზრუნველყოფა: ლელა ხუბუტია
საგამომცემლო მენეჯმენტი: ლელა ხუბუტია
გრაფიკული დიზაინი: მაკა ცომია

სარჩევი

<div style="background-color: #800040; color: white; padding: 5px; margin-bottom: 10px;">I</div> <div style="background-color: #800040; color: white; padding: 5px; margin-bottom: 10px;">II</div> <div style="background-color: #000080; color: white; padding: 5px;">III</div>	<p>მისალმება 4</p> <p>მოვლენები, ფაქტები, მიღწევები 6</p> <p>საქმიანობა 14</p>	<div style="border: 1px solid #800040; padding: 5px; width: 30px; margin-bottom: 10px; text-align: center;">4</div> <div style="border: 1px solid #800040; padding: 5px; width: 30px; margin-bottom: 10px; text-align: center;">6</div> <div style="border: 1px solid #000080; padding: 5px; width: 30px; text-align: center;">14</div>
<p>სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი 2009 14</p> <p style="padding-left: 20px;">1. რეგისტრირებული პროექტები 15</p> <p style="padding-left: 20px;">2. კონკურსის შედეგები 17</p> <p style="padding-left: 20px;">3. დაფინანსებული პროექტები 18</p> <p>სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი 23</p> <p>ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები 32</p> <p>„ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სამეცნიერო გრანტების პროგრამა 2009“ 34</p> <p>მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები 2009 35</p> <p>სამეცნიერო-პოპულარული ლექციები საჯარო სკოლებისთვის 2009 37</p> <p>სამეცნიერო აპარატურა 38</p> <p>განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის – ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების პროგრამა 39</p> <p>საერთაშორისო თანამშრომლობა 40</p> <p>ფინანსური საქმიანობა 46</p>		

არჩილ მონონელიძე

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისთვის 2009, ისევე როგორც წინა წლები, წარმატებული აღმოჩნდა. მის ძირითად საქმიანობად კვლავ რჩება ეროვნული სამეცნიერო საგრანტო პროგრამებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების ადმინისტრირება.

ჩატარდა გეგმით გათვალისწინებული ყველა მნიშვნელოვანი, მათ შორის, ძირითადი, სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, კონკურსი.

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2009 წლის კონკურსმა საქართველოში მოღვაწე ცალკეული მეცნიერის და მეცნიერთა ჯგუფების მაღალი აქტივობა გამოიწვია უკლებლივ რვავე სამეცნიერო მიმართულებით. საკონკურსოდ წარმოდგენილი იყო 729 სამეცნიერო პროექტი, რომელთა შეფასებაც მოახდინა ფონდში დარეგისტრირებულმა დასავლეთის ნამყვან უნივერსიტეტებში და კვლევით ორგანიზაციებში მოღვაწე 2000-მდე უცხოელმა მეცნიერ-ექსპერტმა. პროექტების შეფასებებისთვის ჩართულნი იყვნენ ცნობილი ქართველი მეცნიერებიც. კონკურსის შედეგად დაფინანსდა 103 პროექტი, რაც წარმოდგენილ პროექტთა 14.1 %-ს შეადგენს.

გარდა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებისა, ფონდმა წარმატებით გაუკეთა ადმინისტრირება შემდეგი საგრანტო პროგრამების ფარგლებში ჩატარებულ კონკურსებს: პრეზიდენტის ინდივიდუალური გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის, ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები, ახალგაზრდა მეცნიერთა პრეზიდენტის სტიპენდიები, ახალგაზრდა მეცნიერთა საზღვარგარეთ სტაჟირება, გრანტები სამეცნიერო აპარატურის შესაძენად და მეცნიერების პოპულარიზების პროგრამა.

ფონდის საერთაშორისო საქმიანობა კვლავინდებურად ხორციელდებოდა შემდეგი ხუთი მიმართულებით: უცხოურ სამეცნიერო ფონდებთან ერთობლივი საერთაშორისო პროგრამები, საქართველოს მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა, მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში, საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობა. 2009 წელს საფუძველი ჩაეყარა პარტნიორულ ურთერთობებს იტალიის სამეცნიერო კვლევების ეროვნულ საბჭოსთან და გერმანიის სამეცნიერო კვლევის ფონდთან.

საანგარიშო წელს ფონდმა მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი საქმიანობის სფერო, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავალებით, მან უზრუნველყო საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების ფორმირება და მონაწილეობის მიღება მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში ჩატარებულ სასკოლო საერთაშორისო ოლიმპიადებში. ეს ოლიმპიადები ჩატარდა, შესაბამისად გერმანიაში, მექსიკასა და ბულგარეთში და მათში ქართველმა მოსწავლეებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი გამოხატავს პატივისცემას საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების მიმართ და ელის მისგან საქმიან წინადადებებს მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

პატივისცემით
არჩილ მონონელიძე

მრავლენები, ფაქტები, მიღწევები

23.01.09 FP7-ის ეონქურსზე წარსადგენი პროექტის (SEAS-ERA.NET) წინასწარი საპროექტო წინადადების განხილვაში სესფ-ის მონაწილეობა



2009 წლის 23 იანვარს ქ. ანკარაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა. აღნიშნული შეხვედრა დაკავშირებული იყო სამომავლო პროექტის (“ერთიანი ევროპული ზღვის კვლევის სტრატეგია და პროგრამები”) მომზადებასთან და მის FP7-ის კონქურსზე წარდგენასთან ე.წ. ERA-NET-ის სქემით. პროექტი მიზნად ისახავს ზღვის კვლევასთან დაკავ-

შირებული ეროვნული პროგრამების და პროექტების კოორდინაციას ევროკავშირის ქვეყნებს შორის. სესფ-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური კონსორციუმის სხვა წევრებთან ერთად ჩართული იყო აღნიშნული საპროექტო წინადადების დამუშავებაში, რითაც წვლილი შეიტანა მის მომზადებაში.

28.01.09 „სამეცნიერო-პოპულარული ლექციები საჯარო სკოლებისათვის 2009“ ეონქურსის მეორე ეტაპი

2009 წლის 28 იანვარს ჩატარდა “სამეცნიერო-პოპულარული ლექციები საჯარო სკოლებისათვის” კონქურსის მეორე ეტაპი. საკონქურსოდ დარეგისტრირდა 68 განაცხადი შემდეგი 7 სამეცნიერო მიმართულებით:



- ა). ქიმია;
- ბ). ფიზიკა;
- გ). ბიოლოგია და მედიცინა;
- დ). კოსმოლოგია და ასტრონომია;
- ე). გეოგრაფია, გეოლოგია, ეკოლოგია;
- ვ). საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- ზ). მათემატიკა.

04.02.09 2008 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო უონჯურის შედეგები



2009 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში დარეგისტრირდა 616 საპროექტო განაცხადი 8 სამეცნიერო მიმართულებით. 3 თებერვალს სესფ-ის სამეცნიერო საბჭოს მეთერთმეტე სხდომაზე დასაფინანსებლად დამტკიცდა 161 პროექტი.

06.02.09 „სამეცნიერო-პოპულარული ღეციები საჯარო სკოლებისათვის 2009“ უონჯურის შედეგები



2008 წლის 5 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა კონკურსი „სამეცნიერო-პოპულარული ღეციები საჯარო სკოლებისათვის 2009“. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა საჯარო სკოლების უფროსკლასელთა შორის მეცნიერების პოპულარიზაცია. 2009 წელს პროგრამის ფარგლებში ღეციები და პრაქტიკული მეცადინეობები განხორციელდა საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, გორი, ბათუმი, ზუგდიდი, ფოთი, ოზურგეთი, თელავი, რუსთავი.

26-27.02.09 პროექტ BS-ERA.NET-ის დაწყებასთან დაკავშირებული პირველი სამუშაო შეხვედრა




2009 წლის 26-27 თებერვალს ქ. ბუქარესტში გაიმართა პროექტ BS-ERA.NET-ის დაწყებასთან დაკავშირებული პირველი სამუშაო შეხვედრა, რომელზეც დაზუსტდა პროექტის პირველი წლის სამუშაო გეგმა და მონაწილე ორგანიზაციების ამოცანები. პროექტი BS-ERA.NET მიზნად ისახავს შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის დადგენას, ეროვნული პროგრამების ურთიერთკოორდინაციას, ერთობლივი კონკურსების ორგანიზებას და სხვა.

10-11.03.09 საქართველოსთვის ესტონეთის გამოცდილების გაზიარება ინოვაციისა და ტექნოლოგიის გადაცემის ხელშემწყობი სტრუქტურების განვითარებაში (პროექტი INNOTRANS)



ესტონური კომპანიის Invent Baltics-ის ხელმძღვანელობით, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთობლივად, 2009 წლის 10-11 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პროექტის „საქართველოსთვის ესტონეთის გამოცდილების გაზიარება ინოვაციისა და ტექნოლოგიის გადაცემის ხელშემწყობი სტრუქტურების განვითარებაში“ - INNOTRANS) მე-4 დასკვნითი სესია.

12.03.09 სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2009 წლის უონჯურსი



2009 წლის 12 მარტს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მეოთხე კონკურსი. პროექტების რეგისტრაცია განხორციელდა სესფ-ის მიერ წინასწარ შემუშავებული 8 სამეცნიერო მიმართულებით: 1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები; 2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; 3. მათემატიკა, მექანიკა; 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; 5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; 6. სამედიცინო მეცნიერებები; 7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები; 8. აგრარული მეცნიერებები.

14.04.09 საფრანგეთის სამეცნიერო უცვლელის ეროვნული ცენტრისა (CNRS) და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პირველი ერთობლივი უონჯურსი



2009 წლის 14 აპრილს საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნულმა ცენტრმა (CNRS) და საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადეს კონკურსი ერთობლივი კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად. კონკურსი მიზნად ისახავდა ა). მეცნიერების სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება-გაფართოებას; ბ). ახალგაზრდა მეცნიერთა ერთობლივ კვლევებში აქტიურ ჩართვასა და მათ მოკლევადიან გაცვლით სამეცნიერო ვიზიტების ორგანიზებას; გ). საქართველოს მეცნიერების ევროპულ კვლევით სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობას. კონკურსი მოიცავდა შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს: 1. მათემატიკა, მექანიკა; 2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; 3. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო.

6-8.05.09 სამხრეთ ევროპის ქვეყნების FP7-ის ეროვნული საკონტაქტო პირების ტრენინგი თბილისში



6-8 მაისს ევროპელი ექსპერტების ხელმძღვანელობით სამხრეთ კავკასიის ქვეყნების FP7-ის ეროვნული საკონტაქტო პირებისთვის (NCP) თბილისში ჩატარდა 3 დღიანი ტრენინგი, რომელსაც დაესწრენ სომხეთის და აზერბაიჯანის დელეგაციები და საქართველოს NCP-ები.

19.05.09 საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში საქართველოს ნაერები გუნდების წევრთა შერჩევა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 15 მაისის №280 ბრძანების თანახმად საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა განახორციელა „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის - ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების“ პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო

სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევის, მომზადებისა და მონაწილეობის ადმინისტრირება შემდეგ საგნებში: ფიზიკა, მათემატიკა და ინფორმატიკა.

01.06.09 ბიზნეს-პარტნიორობის საგრანტო კონკურსი



2009 წლის 1 ივნისს აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა (CRDF), საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა (სსგფ) გამოაცხადეს ბიზნეს-პარტნიორობის საგრანტო კონკურსი. პროგრამა მიზნად ისახავდა კომერციულ კომპანიებსა და მეცნიერთა ჯგუფებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ხელშეწყობას, ქვეყნის საინოვაციო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობას და მეცნიერთა მჭიდრო კავშირის დამყარებას წარმოებასთან.

16.06.09 ახალგაზრდა მეცნიერთა დაჯილდოება სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“



2009 წლის 16 ივნისს სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასში” საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა სესფ-ის 2009 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამების: ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების, ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიების და ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიების მიმღებთა დაჯილდოების ღონისძიება.

17.06.09 ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი



2009 წლის 17 ივნისს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობას საგრანტო დაფინანსების გზით. პროექტების რეგისტრაცია განხორციელდა შემდეგი 8 სამეცნიერო მიმართულებით:

1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები.

19.06.09 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა IncoNet EEC პროექტის ფარგლებში ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო დღე



მიმდინარე წლის 19 ივნისს პროექტის IncoNet EEC ფარგლებში საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებული იქნა საინფორმაციო დღე, რომელიც ძირითადად მოიცავდა ორ საკითხს: ქართველ მეცნიერთა FP7-ში (თემატური პრიორიტეტი “გარემო”) მონაწილეობის ხელშეწყობა და ევროპაში მათი მობილობის არსებული შესაძლებლობები (FP7-ის პროგრამა “ხალხი”).

საინფორმაციო დღე გახსნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბ-მა ნოდარ სურგულაძემ და ევროკავშირის ევროკომისიის წარმომადგენელმა საქართველოში ბ-მა ოლივერ რაიზენერმა. სემინარს ესწრებოდნენ სამეცნიერო საზოგადოების და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლები.

23.06.09 მოქვეყნიანი ინდივიდუალური სახელმწიფო სამოგზაურო გრანტების ჟონურის შედეგები



2008 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა კონკურსი 2009 წელს დადგეგმილ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად მოკლევადიან ინდივიდუალურ სახელმწიფო სამოგზაურო გრანტებზე. 2009 წლის 23 ივნისს შეჯამდა კონკურსის შედეგები. სულ კონკურსის ფარგლებში დარეგისტრირდა 174 განაცხადი.

01.07.09 ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სამეცნიერო გრანტები



2009 წლის 1 ივლისს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სამეცნიერო გრანტების კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას საგრანტო დაფინანსების გზით, რაც საშუალებას აძლევს მათ, აიმაღლონ პროფესიული კვალიფიკაცია, დაამყარონ საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტები, შეიძინონ მუშაობის გამოცდილება უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. საპროექტო განაცხადების რეგისტრაცია განხორციელდა შემდეგი 4 სამეცნიერო მიმართულებით: 1. საინჟინრო მეცნიერებები; 2. ფიზიკა და ასტრონომია; 3. ქიმია; 4. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო.

01.07.09 სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ჟონურის სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შესაძენად



2009 წლის 1 ივლისს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა სამეცნიერო გრანტების კონკურსი სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შესაძენად. კონკურსი მიზნად ისახავდა საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლებას, თანამედროვე აპარატურაზე სამეცნიერო

ჯგუფების ხელმისაწვდომობის გაზრდას და ამით ქვეყანაში სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებას.

31.07.09 სესფ-ის სამეცნიერო საბჭოს მეთორმეტე სხდომა



2009 წლის 30 ივლისს გაიმართა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეთორმეტე სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრისა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ “მიზნობრივი კვლევისა და განვითარების პროგრამის” ფარგლებში ორგანიზებული მე-3 ერთობლივი კონკურსის გამარჯვებული 11 პროექტის სესფ-ის მიერ დაფინანსების შესახებ. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხრიდან გამოიყო 640 667 ლარი.

12.08.09 „2009 წელს ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად“ უონჟურსში გამარჯვებულ სტიპენდიანტებისათვის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი აგრძელებს სტიპენდიების გაცემას.



2009 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში გაიმართა სესფ-ისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა „2009 წელს ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუას სტიპენდიის მოსაპოვებლად“ კონკურსის შედეგად გამარჯვებული 5 სტიპენდიანტის მიერ ფონდში წარმოდგენილი შუალედური ანგარიშები და დაამტკიცა მათთვის სტიპენდიის გაგრძელება 2009 წლის დეკემბრის ჩათვლით.

14.08.09 „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სამეცნიერო გრანტების“ უონჟურსის შედეგები.



2009 წლის 14 აგვისტოს ”ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სამეცნიერო გრანტების“ კონკურსის შედეგად დარეგისტრირდა 4 საპროექტო განაცხადი 2 სამეცნიერო მიმართულებით: 1. ქიმია; 2. ფიზიკა და ასტრონომია.

18.08.09 „2009 წელს ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად“ უონჟურსის შედეგები



2009 წლის 18 აგვისტოს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში გაიმართა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი კომისიის სხდომა. კომისიამ განიხილა

„2009 წელს ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიის მოსაპოვებლად“ კონკურსის შედეგად გამარჯვებული 9 სტიპენდიანტის მიერ ფონდში წარმოდგენილი შუალედური ანგარიშები და დაამტკიცა მათთვის სტიპენდიის გაგრძელება 2009 წლის დეკემბრის ჩათვლით.

14.09.09 „მიზნობრივი უცდეებისა და განვითარების ინიციატივების“ პროგრამის სესფ-ისა და უმტც-ს ერთობლივი მეოთხე უონჟურსი – 2009-2010



2009 წლის 14 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა და უკრაინის მეცნიერების და ტექნოლოგიების ცენტრმა გამოაცხადეს მეოთხე ერთობლივი კონკურსი “მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების” პროგრამის ფარგლებში. კონკურსი მოიცავდა 3 სფეროს: 1. ბიოტექნოლოგიები და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; 2. ენერგო-ეფექტურობა; 3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

12.10.09 „სამეცნიერო-პოპულარული დეკეციები საჯარო სკოლებისათვის 2010“



კონკურსი მიზად ისახავდა საჯარო სკოლების მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციას, მეცნიერების მიღწევებისა და სიახლეების გაცნობას, თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის მიწოდებას და, ამით, მათ დაინტერესებას მეცნიერებით. პროგრამის ფარგლებში 2010 წლის კონკურსი მოიცავდა შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს: ა). ქიმია; ბ). ფიზიკა; გ). ბიოლოგია

და მედიცინა; დ). კოსმოლოგია და ასტრონომია; ე). გეოგრაფია, გეოლოგია, ეკოლოგია; ვ). საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები; ზ). მათემატიკა; თ). საინჟინრო მეცნიერებები; ი). აგარარული მეცნიერებები.

23.10.09 საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საფრანგეთის სამეცნიერო უცდეების ეროვნული ცენტრის (CNRS) პირველი ერთობლივი უონჟურსის შედეგები



2009 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს მეცამეტე სხდომაზე დამტკიცდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) პირველი ერთობლივი კონკურსის შედეგები. კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნა 3 სამეცნიერო პროექტი.

04.11.09 „მიზნობრივი უცდეებისა და განვითარების ინიციატივების“ პროგრამის სესფ-ისა და უმტც-ს მე-4 ერთობლივი უონჟურსის რეგისტრაციის შედეგები



2009-2010 წლის “მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების” პროგრამის სესფ-ისა და უმტც-ს მე-4 ერთობლივი კონკურსის ფარგლებში საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში დარეგისტრირდა 80 განაცხადი. პროექტების ტექნიკური შემოწმების შედეგად კონკურსიდან მოიხსნა 6 განაცხადი.

06.11.09 ინდივიდუალური სამეცნიერო სამოგზაურო საგრანტო კონკურსი 2010



სამოგზაურო საგრანტო კონკურსი მიზნად ისახავს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში საქართველოს მეცნიერების მონაწილეობის ხელშეწყობას, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გაძლიერდეს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და მოხდეს საქართველოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

10.11.09 „მიზნობრივი უცვლელისა და განვითარების ინიციატივების“ პროგრამის სესფ-ისა და უმტც-ს მე-4 ერთობლივი უონკურსის პირველი ეტაპის შედეგები



“მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების” პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კონკურსის პირველ ეტაპზე 3 პრიორიტეტულ სამეცნიერო სფეროში დაშვებული 74 საპროექტო წინადადებადან მე-2 (დასკვნით) ეტაპზე მონაწილეობისათვის შერჩეულ იქნა 25 განაცხადი.

24.11.09 უონკურსის შედეგები „სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები სამეცნიერო-უცვლელით აპარატურის შესაძენად“



2009 წლის 1 ივლისს სესფ-ის მიერ გამოცხადებული კონკურსის “სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შესაძენად” შედეგად დასაფინანსებლად შეირჩა და 2009 წლის 24 ნოემბერს სესფ-ის სამეცნიერო საბჭოზე დამტკიცდა 7 პროექტი საერთო ბიუჯეტით 1,478,713 ლარი.

26.11.09 „სამეცნიერო-პოპულარული დეჟეტები საჯარო სკოლებისათვის“ 2010 წლის უონკურსის რეგისტრაციის შედეგები



2009 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოცხადა კონკურსი “სამეცნიერო-პოპულარული დეჟეტები საჯარო სკოლებისათვის”. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა საჯარო სკოლების უფროსკლასელთა შორის მეცნიერების პოპულარიზება. პროგრამა ხორციელდება შემდეგ ქალაქებში: თბილისი, თელავი, მცხეთა, გორი, ქუთაისი, სენაკი,

რუსთავი, ახალქალაქი, ოზურგეთი, ფოთი, ხელვაჩაური, ბორჯომი, ონი, მესტია. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა 42 საპროექტო წინადადება.

საქმიანობა

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების უონჯურსი 2009

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2009 წლის 12 მარტს გამოაცხადა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მეოთხე კონკურსი.


სამეცნიერო პროექტების რეგისტრაცია ხორციელდებოდა 8 სამეცნიერო მიმართულებით:

1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მატერიალური მეცნიერებები
8. აგრარული მეცნიერებები

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 729 სამეცნიერო პროექტმა

1. რეგისტრირებული პროექტები

გრაფიკი 1. რეგისტრირებული პროექტების გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით (სულ 729 პროექტი)




1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მალატექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები

ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების სახელმძღვანელო ცნობარის თანახმად, თითოეული პროექტისთვის მოთხოვნილი თანხა წელიწადში უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 50 000 ლარისა, ხოლო ორ- და სამ-წლიან პროექტებზე, შესაბამისად, არაუმეტეს 100 000 და 150 000 ლარისა.

2009 წელს რეგისტრირებული პროექტების საერთო მოთხოვნილმა თანხამ შეადგინა 82320993,24 ლარი.

გრაფიკი 2. რეგისტრირებული პროექტების მოთხოვნილი თანხების გადანაწილება 8 სამეცნიერო მიმართულების მიხედვით (სულ მოთხოვნილი ბიუჯეტი 82320993,24 ლარი)




1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მალატექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები

სახელმძღვანელო ცნობარის თანახმად, საკონკურსო პროექტის ხანგრძლივობა განისაზღვრება 6-დან 36 თვემდე. რეგისტრირებული პროექტების უმეტესი ნაწილი გათვლილი იყო 36-თვიან პერიოდზე.

საქმიანობა
სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

გრაფიკი 3. რეგისტრირებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება პროექტების ხანგრძლივობის მიხედვით (სულ 729 პროექტი)



გრაფიკი 4. რეგისტრირებული პროექტების გადანაწილება თანამონაწილე ორგანიზაციების მიხედვით



ცხრილი 1. რეგისტრირებული პროექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით (სულ 729 პროექტი)

№	სახელწოდება	პროექტების რაოდენობა
1	თბილისი	647
2	რუსთავი	4
3	ქუთაისი	37
4	ბათუმი	27
5	თელავი	3
6	ფოთი	1
7	ოზურგეთი	6
8	ახალციხე	2
9	ზუგდიდი	2
სულ		729

პროექტების რეგისტრაცია ფონდში ხდება სამეცნიერო მიმართულების მიხედვით კვლევის სამეცნიერო კატეგორიის გათვალისწინებით.


გრაფიკი 5. რეგისტრირებული პროექტების გადანაწილება კვლევის სამეცნიერო კატეგორიის მიხედვით (სულ 729 პროექტი)



2. უონეურსის შედეგები

პროექტების შეფასებაში მონაწილეობა მიიღო 1195 უცხოელმა და 35 ქართველმა ექსპერტმა.


გრაფიკი 6. პროექტების შეფასებაში მონაწილე უცხოელი და ქართველი ექსპერტების პროცენტული გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მალაქტექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები

ყველაზე მეტი უცხოელი ექსპერტი მონაწილეობდა **მათემატიკა, მექანიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მიმართულებით, ხოლო ყველაზე ნაკლები - **სამედიცინო მეცნიერებების** მიმართულებით დარეგისტრირებული პროექტების შეფასებაში.


გრაფიკი 7. შეფასებულ პროექტებში უცხოელი ექსპერტების რაოდენობა პროექტზე სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მალაქტექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები


კონკურსის შედეგად, ექსპერტების შეფასებების საფუძველზე მიღებული ქულების მიხედვით, ფონდის მიერ წინასწარ შემუშავებულ ქულათა ჯგუფში პროექტები ჯამურად შემდეგნაირად გადანაწილდა:

გრაფიკი 8. შეფასებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება მიღებული ქულების მიხედვით (ცუდი — 0-40; საშუალო — 41-79; კარგი — 80-100)



შეფასების შედეგად პროცენტულად ყველაზე მაღალი ქულები (80-100 ქულა) მიიღეს **საინჟინრო მეცნიერებებში** და **მათემატიკაში** წარმოდგენილმა პროექტებმა.

გრაფიკი 9. რეგისტრირებული პროექტების საშუალო ქულა სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტექნოლოგიები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მალაქტექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები

3. დაფინანსებულები პროექტები

2009 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შეირჩა და დამტკიცდა 103 პროექტი.


გრაფიკი 10. დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტექნოლოგიები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მალაქტექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები

2009 წელს დაფინანსებული პროექტების საერთო მოთხოვნილმა თანხამ შეადგინა 12164584,4 ლარი.

გრაფიკი 11. დაფინანსებული პროექტების გადანაწილება დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სამეცნიერო მიმართულებათა კატეგორიის მიხედვით




ცხრილი 2. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

№	სახელწოდება	პროექტების რაოდენობა
1	თბილისი	96
2	რუსთავი	1
3	ქუთაისი	3
4	ბათუმი	2
5	ზუგდიდი	1
სულ		103

ცხრილი 3. დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე ძირითადი პერსონალის რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სამეცნიერო მიმართულებათა კატეგორიის მიხედვით (სულ 445 მეცნიერი)

№	სამეცნიერო მიმართულება	ძირითადი პერსონალის რაოდენობა	ასაკობრივი ჯგუფები					
			30-მდე	30-39	40-49	50-59	60-69	70+
1.	საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები	11	3	2	0	0	3	3
2.	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები	24	1	3	4	8	2	6
3.	მათემატიკა, მექანიკა	49	5	5	7	11	13	8
4.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	58	7	6	6	17	14	8
5.	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო	76	2	12	8	18	20	16
6.	სამედიცინო მეცნიერებები	41	1	9	7	5	14	5
7.	საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები	99	5	6	15	14	33	26
8.	აგრარული მეცნიერებები	87	3	7	17	22	20	18
სულ		445	27	50	64	95	119	90

გრაფიკი 12. დაფინანსებული პროექტებში მონაწილე 35 წლამდე ასაკის მეცნიერების რაოდენობრივი გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით (სულ 49 ახალგაზრდა მეცნიერი)



1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მალაქტექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები

ცხრილი 4. დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე 35 წლამდე ასაკის პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მენეჯერების რაოდენობა

№	სამეცნიერო მიმართულება	პროექტების რაოდენობა
1	მათემატიკა, მექანიკა	2
2	სამედიცინო მეცნიერებები	2

ცხრილი 5. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა დეტალური კლასიფიკატორის მიხედვით (სულ 103 პროექტი)

№	ქვემიმართულების სახელწოდება	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები		
1	1-120 - გამოთვლითი მანქანების, სისტემების, კომპლექსებისა და ქსელების მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფა	1
2	1-150 - ტელეკომუნიკაციური სისტემები და ქსელები	1
3	1-160 - რადიოტექნიკა და კავშირგაბმულობა	1

№	ქვემიმართულების სახელწოდება	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები		
4	2-100 - ზოგადი ბიოლოგია	2
5	2-110 - ზოოლოგია	2
6	2-160 - განვითარების ბიოლოგია	1
7	2-230 - ბიოფიზიკა	1

№	ქვემიმართულების სახელწოდება	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
3. მათემატიკა, მექანიკა		
8	3-100 - მათემატიკური ანალიზი	2
9	3-101 - დიფერენციალური განტოლებები	2
10	3-104 - ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	3
11	3-105 - მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორია	3
12	3-109 - უწყვეტ გარემოთა მექანიკა	1


№	ქვემიმართულების სახელწოდება	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები		
13	4-100 - თეორიული ფიზიკა	2
14	4-140 - პლაზმის ფიზიკა და ქიმია	2
15	4-200 - ატომბირთვისა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა	2
16	4-270 - მაღალი ენერგიების ფიზიკა	1
17	4-280 - არატრადიციული ენერგეტიკის ფიზიკურ-ტექნიკური საფუძვლები	1
18	4-310 - მზის სისტემის ფიზიკა და ჰელიოფიზიკა	1
19	4-320 - მაღალი ენერგიების ასტროფიზიკა	1
20	4-430 - ფიზიკური ქიმია	1
21	4-510 - ქიმიური კინეტიკა და კატალიზი	1
22	4-520 - კომპოზიციური მასალების ქიმია	2

№	ქვემიმართულების სახელწოდება	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო		
23	5-100 - გეოგრაფია	1
24	5-110 - მეტეოროლოგია	2
25	5-140 - სეისმოლოგია	1
26	5-150 - გეოლოგია	5
27	5-170 - გეოქიმია	1
28	5-190 - ატმოსფეროს ფიზიკა	1
29	5-200 - კლიმატი და კლიმატის ცვლილება	1
30	5-210 - დაბინძურება და აღდგენა	1
31	5-220 - ნარჩენების მართვა	1
32	5-240 - გარემოს მონიტორინგი და შეფასება	1
33	5-250 - გარემოს დაცვის ტექნოლოგიები	3

№	ქვემიმართულების სახელწოდება	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
6. სამედიცინო მეცნიერებები		
34	6-270 - ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია	1
35	6-271 - უჯრედის ფიზიოლოგია	1
36	6-272 - სენსორული სისტემების ფიზიოლოგია	1
37	6-274 - ზოგადი ნეიროფიზიოლოგია	2
38	6-275 - ინტეგრირებული ნეიროფიზიოლოგია	1
39	6-315 - პათოლოგიური ანატომია	2
40	6-341 - კლინიკურ-ლაბორატორიული დიაგნოსტიკა	1
41	6-404 - ფარმაცია, ფარმაცევტული ქიმია და ფარმაკოგნოზი.	1

№	ქვემიმართულების სახელწოდება	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
7. საინჟინრო მეცნიერებები, მალატექნოლოგიური მასალები		
42	7-104 - სამშენებლო მასალები და ნაკეთობები	1
43	7-105 - ჰიდროტექნიკური და მელიორაციული მშენებლობა	2
44	7-109 - ჰიდრავლიკა და საინჟინრო ჰიდროლოგია	4
45	7-121 - მასალათმცოდნეობა	2
46	7-122 - მექანიკური და ფიზიკა-ტექნიკური დამუშავების პროცესები, ჩარხები, იარაღები და ტექნოლოგიური მოწყობილობა	2
47	7-130 - წყალზედა, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტი	1
48	7-170 - ენერგეტიკა	3
49	7-192 - შავი, ჭფერადი და იშვიათი ლითონების მეტალურგია	1
50	7-195 - ფხვნილთა მეტალურგია და კომპოზიციური მასალები	1
51	7-200 - ქიმიური ტექნოლოგია	2
52	7-201 - ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგია	1
53	7-210 - სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგია	1
54	7-250 - ნანომასშტაბური მასალები, ნანოსტრუქტურები, ნანოტექნოლოგია	1

№	ქვემიმართულების სახელწოდება	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა
8. აგრარული მეცნიერებები		
55	8-100 - აგრონომია	4
56	8-101 - მცენარეთა დაცვა	2
57	8-102 - სელექცია, გენეტიკა	1
58	8-105 - ნიადაგმცოდნეობა	1
59	8-110 - ზოოტექნიკა	1
60	8-120 - სატყეო მეურნეობა	1
61	8-130 - ვეტერინარია	1
62	8-140 - სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია	2
63	8-150 - საკვების ხარისხი და უსაფრთხოება	2
64	8-160 - აგრობიოტექნოლოგია	3
65	8-170 - სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია	1



სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონიტორინგის, შეფასებისა და ანალიზის სამმართველო ახორციელებდა 2006, 2007 და 2008 წლების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსებული პროექტების, ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის 2008 წლის სამეცნიერო გრანტების, ერთობლივი საერთაშორისო (STCU, GRDF, BPG, NSS) და ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების ადმინისტრირებას – განიხილავდა და აფასებდა ყოველკვარტალურ ფინანსურ და პროგრამულ ანგარიშებს და ამზადებდა შესაბამის მონიტორინგის აქტებს, ესწრებოდა საგრანტო პროექტების ფარგლებში გამართულ კონფერენციებს, სემინარებს, პრეზენტაციებს და სადემონსტრაციო დღეებს. მიმდინარეობდა პროექტებში განხორციელებული სამეცნიერო მუშაობის ამსახველი სტატისტიკური მასალის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი.

2009 წელს მიმდინარეობდა სესფ-ის 2006 წლის სამეცნიერო საგრანტო კონკურსით დაფინანსებული 43, 2007 წელს დაფინანსებული 102 და 2008 წელს დაფინანსებული 160 პროექტი, აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის 2008 წლის სამეცნიერო საგრანტო კონკურსით დაფინანსებული 55 პროექტი.

სულ 2009 წელს ადმინისტრირება გაენია სახელმწიფო სამეცნიერო და ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის 360 საგრანტო პროექტს.


2009 წელს სულ წარმოგენილ და განხილულ იქნა სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ფარგლებში დაფინანსებული 1087 უვარტალური ტექნიკური (ფინანსური და პროგრამული) ანგარიში

სულ ფინანსური და პროგრამული ანგარიშების განხილვის საფუძველზე შეიქმნა 1087 მონიტორინგის აქტი

ადგილზე მონიტორინგი განხორციელდა 85 პროექტში.

2009 წელს დასრულდა 137 სამეცნიერო პროექტი, აქედან 2006 წელს დაფინანსებული პროექტებიდან 83, ხოლო 2007 წელს დაფინანსებული პროექტებიდან – 54.

გრაფიკი 1. 2006, 2007 და 2008 წლებში დაფინანსებული და დასრულებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების რაოდენობა



2006 წლის სახელმწიფო სამეცნიერო კონკურსით დაფინანსებული 83 პროექტის ფარგლებში სულ გამოქვეყნდა 780 სამეცნიერო სტატია.

გრაფიკი 2. დასრულებული პროექტების ფარგლებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობრივი გადანაწილება იმპაქტ-ფაქტორიანი, საერთაშორისო და ადგილობრივი ჟურნალების მიხედვით




გამოსაქვეყნებლად გადაცემულ იქნა 170, ხოლო გამოსაქვეყნებლად მომზადებულ იქნა 143 სტატია.

გამოიცა 13 წიგნი და 7 ბროშურა, გაფორმდა 21 პატენტი, ჩატარდა 24 საერთაშორისო და 9 ადგილობრივი კონფერენცია, 555 სამეცნიერო სემინარი, 102 სადემონსტრაციო დღე.

2009 წელს ფონდის თანამშრომლები სისტემატურად ესწრებოდნენ საგრანტო პროექტების ფარგლებში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებს, სემინარებს, პრეზენტაციებს და სადემონსტრაციო დღეებს.

სამეცნიერო ფონდის თანამშრომელთა თანდასწრებით საგრანტო პროექტების ფარგლებში ჩატარდა 7 სამეცნიერო კონფერენცია, 7 სადემონსტრაციო დღე, 16 სამეცნიერო სემინარი, სამეცნიერო უცვლელის შედეგების 7 პრეზენტაცია

გრაფიკი 3. სამეცნიერო ფონდის თანამშრომელთა თანდასწრებით ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, პრეზენტაციები და სადემონსტრაციო დღეები



კონფერენციები

1. 2009 წლის 30 იანვარს აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტში საგრანტო პროექტების №106 “რადიაციული მუტაგენეზის მეთოდის შემუშავება თუთის აბრეშუმხვევის ექსტრემალური პირობებისადმი გამძლე და პარკის საუკეთესო მაჩვენებლების ჯიშის გამოსაყვანად” (სამეცნიერო ხელ-ლი ნიკოლოზ ფარცხალაძე) და № 214 “სომხეთის აეს-ის შესაძლო ავარიისას სამხრეთ საქართველოსთვის პრევენციული და სარეაბილიტაციო ღონისძიებები” (სამეცნიერო ხელ-ლი ევა ბიბილური) ფარგლებში

ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია “რადიოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები”.


2. 2009 წლის 24 ოქტომბერს ჩაქვში, სასტუმრო “ოაზისში” ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია სესფ-ის №094 საგრანტო პროექტის “სხვადასხვა სახის ჩაის პროდუქციის წარმოების ხერხების დამუშავება სელექციური და ბიოქიმიური კვლევების საფუძველზე” ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი ტარიელ მამულაიშვილი, წამყვანი ორგანიზაცია ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი.

3. 2009 წლის 4 დეკემბერს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინალური მედიცინის ფაკულტეტზე ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია “ცხოველთა პარაზიტული ტკიპები და მათთან ბრძოლა”; გრანტი №272, სამეცნიერო ხელ-ლი გივი ჩიმაკაძე.

4. 2009 წლის 25 სექტემბერს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია “საქართველოს ანდოსოლების გენეზისური თავისებურებანი და მათი რაციონალური გამოყენება”; გრანტი №058, ხელ-ლი თენგიზ ურუშაძე.

5. 2009 წლის 30 ივნისს თბილისის ბოტანიკურ ბაღში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია “თბილისის შემოგარენის სამკურნალო მცენარეების ბიომრავალფეროვნება”, გრანტი № 203, სამეცნიერო ხელ-ლი როზა ბიძინაშვილი.

6. 7. 2009 წლის 19 მაისს მეზაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია გრანტების №264 “პოლიფენოლებით კონცენტრირებული ნითელი ღვინოების, წვენებისა და ექსტრაქტების დამზადების ტექნოლოგია” და №267 “ყურძნიდან და ხილ-კენკრიდან პოლიფენოლებით კონცენტრირებული პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები” ფარგლებში. სამეცნიერო ხელ-ლი ნანა ებელაშვილი.



7. 2009 წლის 26 ივნისს საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში მოეწყო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: “ასტრობიოლოგიის თანამედროვე პრობლემები”
 შორგანიზატორი: გრანტი № 221 “მარსის ეკოსისტემის იმიტაცია — ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების შემუშავება პლანეტის ტერაფორმირებისათვის აუცილებელი ზოგიერთი პრაქტიკული ამოცანის გადასაჭრელად”, სამეცნიერო ხელ-ლინუგზარ ალექსიძე.

პრეზენტაციები



1. 2009 წლის 17 დეკემბერს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მებარეშუმეობის ინსტიტუტში ჩატარდა გრანტი № 263-ის “თუთის აბრეშუმხვევის პროდუქტიულობის ამაღლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება” (სამეცნიერო ხელ-ლინუგზარ ბარამიძე) კვლევის შედეგების პრეზენტაცია.



2. 2009 წლის 15 დეკემბერს ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში შედგა სესფ-ის №073 საგრანტო პროექტის “საქართველოს ნაციონალური ატლასი” კვლევის შედეგების პრეზენტაცია. სამეცნიერო ხელ-ლინუგზარ რამინ გობეჯიშვილი.

3. 2009 წლის 13 ოქტომბერს სასტუმრო “ამბასადორში” ჩატარდა სესფ-ის №073 საგრანტო პროექტის “საქართველოს ნაციონალური ატლასი” კვლევის შედეგების პრეზენტაცია. სამეცნიერო ხელ-ლინუგზარ რამინ გობეჯიშვილი.

4. 2009 წლის 30 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ცისტერ დარბაზში ჩატარდა სესფ-ის №460 საგრანტო პროექტის “იშვიათი დაავადებების მართვის ოპტიმიზაცია ბავშვებსა და მოზარდებში” პროგრამის პრეზენტაცია. სამეცნიერო ხელ-ლინუგზარ რამინ ფალავა.



5. 2009 წლის 24 ივნისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ე. ხარაძის სახ. ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის თბილისის განყოფილებაში ჩატარდა გრანტის №422 “ადრეულ სამყაროში ლუნობის სიმეტრიის დარღვევის კოსმოლოგიური მინიშნებები” მიმდინარე შედეგების პრეზენტაცია. სამეცნიერო ხელ-ლინუგზარ თინა კახნიაშვილი.

6. 2009 წლის 16 ოქტომბერს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში ჩატარდა გრანტის №276 “კაკლოვანი კულტურების პერსპექტიული ჯიშების ნერგის წარმოებისა და მცირე კონტურიანი ინტენსიური ტიპის ბაღების გაშენებამოვლის ტექნოლოგიის სისტემის შემუშავება” დასკვნითი შედეგების პრეზენტაცია. სამეცნიერო ხელ-ლინუგზარ შენგელია.

7. 2009 წლის 28 ოქტომბერს თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ჩატარდა გრანტის №033 “ბინარული ნარევის დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიის ამოცანების გამოკვლევა” შემაჯამებელი შედეგების პრეზენტაცია. სამეცნიერო ხელ-ლინუგზარ მერაბ სვანაძე

სადემონსტრაციო ელემენტები

1. 2009 წლის 23 ოქტომბერს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში გაიმართა გრანტი № 521-ის „აჭარა-გურიაში გავრცელებული ციტრუსოვანთა პერსპექტიული ჯიშებისა და კლონების შერჩევა საკოლექციო ბაღების მონყოფის, გენოფონდის შენარჩუნებისა და გამოყენების მიზნით“ (სამეცნიერო ხელ-ლი დავით ბარათაშვილი) სადემონსტრაციო დღე.

2. 2009 წლის 11 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის დილმის ექსპერიმენტალურ ბაზაზე გაიმართა გრანტი № 264-ის „საქართველოს თუთის გენოფონდის დაცვა-გამდიდრება; მაღალპროდუქტიული და მიკროპლაზმური დაავადებებისადმი მედეგი ჯიშების გამოყვანა, დარაიონება და გავრცელება ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით.“ (სამეცნიერო ხელ-ლი გიორგი ნიკოლეიშვილი) სადემონსტრაციო დღე.

3. 2009 წლის 24 თებერვალს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა გრანტი № 086-ის „საქართველოს ბუგრების ბიომრავალფეროვნება და ევოლუცია“ (სამეცნიერო ხელ-ლი ნანა ბახტაძე) სადემონსტრაციო დღე.

4. 2009 წლის 18 მაისს თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევში ჩატარდა სესო-ის №500 პროექტის „ქართული მთის ჯიშის ძროხის აღდგენისა და სრულყოფის ღონისძიებების შემუშავება“ სადემონსტრაციო დღე. წამყვანი ორგანიზაცია მიხ. რჩელიშვილის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების ინსტიტუტი. სამეცნიერო ხელ-ლი ავთანდილ დოღმაზაშვილი.



5. 2009 წლის საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სამთო სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში ჩატარდა გრანტი №027-ის „სპეციალური სატრანსპორტო-ტექნოლოგიური კომპლექსის დამუშავება რთულ რელიეფურ პირობებში განლაგებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის“ (სამეცნიერო ხელ-ლი ნუგზარ ბერიძე) სადემონსტრაციო დღე.

6. 2009 წლის 2 ივლისს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში ჩატარდა გრანტი №250-ის „მძიმე ლითონების იონების შემცველი ჩამდინარე და გამრეცხი წყლების განმენდა ელექტროდიალიზის მეთოდით“ (სამეცნიერო ხელ-ლი რაულ გოცირიძე) სადემონსტრაციო დღე.

7. 2009 წლის 10 ივლისს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა გრანტი № 508-ის „აჭარა-გურიაში გავრცელებული ციტრუსოვანთა პერსპექტიული ჯიშებისა და კლონების შერჩევა სადედე-საკოლექციო ბაღების მონყოფის, გენოფონდის შენარჩუნებისა და შემდგომი გამოყენების მიზნით“ (სამეცნიერო ხელ-ლი გულნარი ჩხუტიაშვილი) სადემონსტრაციო დღე.

სემინარები

1. 2009 წლის 29 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი თემაზე: “ქაოსი იზომერიზაციის რეაქციაში” სესფ-ის №197 საგრანტო პროექტის “შეუქცევადობა ქაოსურ კვანტურ-მექანიკურ სისტემებში რეზონატორების კვანტური ელექტროდინამიკისა და ფლოკე-სისტემების მაგალითზე” ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი არჩილ უგულავა.



2. 2009 წლის 28 დეკემბერს კავკასიის ალ. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი სესფ-ის №215 საგრანტო პროექტის “შავი ზღვის სანაპირო ზოლის კომპლექსური გეოეკოლოგიური შესწავლა — შეფასება (ბათუმი-ფოთის მინაკვეთი)” ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი მურმან კვინიკაძე.

3. 2009 წლის 24 ივნისს მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი თემაზე: „საკვები დნმ-ის ანალიზი გენ-მოდულირებული ორგანიზმების დეტექტირებისათვის“. სესფ-ის №273 საგრანტო პროექტი. სამეცნიერო ხელმძღვანელი ნელი დათუკიშვილი.

4. 2009 წლის 25 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიაში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი თემაზე: „ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება“ სესფ-ის №265 საგრანტო პროექტის ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი გურამ ალექსიძე, ნამყვანი ორგანიზაცია — ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი.

5. 2009 წლის 22 დეკემბერს გრ. წუკუკუძის სამთო ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი სესფ-ის №184 საგრანტო პროექტის “უჰალოგენო, არატოქსიკური, მინერალური კომპოზიციური ცეცხლმაქრი ფხვნილების შემუშავება” ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი გურამ აბაშიძე.

6. 2009 წლის 14 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი თემაზე: „მიზოფრენია: ბიოქიმიური საფუძვლები და მკურნალობის თანამედროვე მიდგომები“ სესფ-ის №225 საგრანტო პროექტის ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი ნანული დორეული.


7. 2009 წლის 29 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი სესფ-ის №199 საგრანტო პროექტის “ურეკი-მეკვეთილის საკურორტო ზონის კომპლექსური ეკოლოგიური და მიკროკლიმატური გამოკვლევა” ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი მარიამ ელიზბარაშვილი.

8. 2009 წლის 27 ნოემბერს თსუ მაღალი ენერჯების ფიზიკისა და ინფორმაციის ინსტიტუტში ჩატარდა გაერთიანებული სამეც-





ნიერო სემინარი სესფ-ის 3 პროექტის ფარგლებში: №108 „ნუკლონ-ნუკლონური ურთიერთქმედების სპინური სტრუქტურის შესწავლა ამაჩქარებელზე“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი მიხეილ ნიორაძე), №185 „ATLAS ექსპერიმენტის მგრძნობიარობა ახალი ფიზიკის მიმართ“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი თამარ ჯობავა), №196 „სპინის ფიზიკა: ღრმად — არადრეკადი პროცესები და პოლარიზაციული მოვლენები“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი ანზორ ხელაშვილი)



9. 2009 წლის 29 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა გაერთიანებული სამეცნიერო სემინარი სესფ-ის №192 საგრანტო პროექტის “p-i-n გადასასვლელის მიღება რადიკალურ-სხივური კვაზიეპიტაქსისის მეთოდით $ZnSe/ZnO$, ZnO/ZnO , ZnS/ZnO ნახევარგამტარულ სტრუქტურებზე” (სამეცნიერო ხელმძღვანელი თამაზ ბუთხუზი) და №198 პროექტის “კვანტური არაომური ტრანსპორტი მოუნესრიგებელ სისტემებში” (სამეცნიერო ხელმძღვანელი დავით ალადაშვილი) ფარგლებში.

10. 2009 წლის 5 იანვარს ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში ჩატარდა გაფართოებული საახალწლო სამეცნიერო სემინარი თემაზე: „თანამედროვე ექსპერიმენტები კოსმოსური სხივების ფიზიკაში“ სესფ-ის №075 საგრანტო პროექტის “პირველადი კოსმოსური სხივების მიერ ატმოსფეროში წარმოქმნილი ფართო ატმოსფერული ღვარების შესწავლა თანამედროვე კომპლექსური აპარატურით” ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი მანანა სვანიძე.

11. 2009 წლის 3 აგვისტოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი სესფ-ის №415 საგრანტო პროექტის “ახალი რადიაციულად მდგრადი ნახევარგამტარული მასალების შექმნა InP_xAs_{1-x} მყარი ხსნარის ბაზაზე” ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი ნოდარ კეკელიძე.

12. 2009 წლის 23 ივნისს კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმო-მედეგობის ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი სესფ-ის №253 საგრანტო პროექტის “ნანოტექნოლოგიებით საქართველოს ნედლეულის მოდიფიცირებით ულტრამალალი თბისებების (UHPC) ცემენტისა და ბეტონების დამზადების ტექნოლოგია” ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი ბელა კეშელავა.

13. 2009 წლის 21 მარტს სასტუმრო „კოლხის“ საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა დასკვნითი სამეცნიერო სემინარი სესფ-ის №112 საგრანტო პროექტის “ტყის



დაცვა მავნე მწერებისაგან გარემოსათვის უსაფრთხო ბიოლოგიური საშუალებებით” ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი ნანი გოგინაშვილი, წამყვანი ორგანიზაცია ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი.

14. 2009 წლის 29 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი სესფ-ის №070 საგრანტო პროექტის “ფუნქციური ჯგუფების შემცველი მონომერების ბაზაზე

ახალი ორგანო/ არაორგანული პოლიმერების სინთეზი და კომპოზიციური მასალები მათ ბაზაზე” ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი ომარ მუკბანიანი.

15. 2009 წლის 29 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი სესფ-ის №361 საგრანტო პროექტის “სუსტად სტრუქტურირებადი სისტემების მოდელირებისა და სიმულაციის ფაზი-ტექნოლოგიები” ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი გია სირბილაძე.


16. 2009 წლის 25 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი თემაზე: „განზოგადებული კერძო ვარიაციების ფუნქციონირება კლასები და მათი გამოყენება ფურიეს ორმაგი ტრიგონომეტრიული მწკრივების კრებადობის საკითხებში“ სესფ-ის №171 საგრანტო პროექტის “ჰარმონიული ანალიზის პრობლემები” ფარგლებში. სამეცნიერო ხელმძღვანელი უშანგ გოგინავა.

ახანგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის 2008 წლის სამეცნიერო გრანტების მონიტორინგი

2009 წელს მიმდინარეობდა 2008 წლის კონკურსით დაფინანსებული 55 პროექტის მონიტორინგი.

ჩატარდა ახანგაზრდა მეცნიერთა პროექტების სამეცნიერო უცვლელ შედეგების 32 პრეზენტაცია, 53 სამეცნიერო სემინარი; ახანგაზრდა მეცნიერებმა მონაწილეობა მიიღეს 52 ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო უნივერსიტეტში

გრაფიკი 1. პროექტების განხორციელებისას ჩატარებული ღონისძიებები




დაფინანსებული პროექტების ფარგლებში გამოქვეყნდა 68 სამეცნიერო სტატია, 7 ბროშურა და 13 წიგნი

ცხრილი 2. პუბლიკაციების რაოდენობა სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით

№	სამეცნიერო მიმართულება	პუბლიკაცია		
		სტატია	ბროშურა	წიგნი
1	ქართველოლოგიური მეცნიერებები	13	2	6
2	ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები	23	4	6
3	მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	1	0
4	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	5	0	0
5	დედამინის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო	9	0	1
6	სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები	5	0	0
7	საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები	8	0	0
8	აგრარული მეცნიერებები	1	0	0
სულ:		68	7	13

გრაფიკი 2. დასრულებული პროექტების ფარგლებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობრივი გადანაწილება იმპაქტ-ფაქტორიანი, საერთაშორისო და ადგილობრივი ჟურნალების მიხედვით (სულ 68 სტატია).



საქმიანობა
პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი მიზნად ისახავს ქვეყანაში მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობას საგრანტო დაფინანსების გზით.


2009 წლის 17 ივნისს გამოცხადდა “ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების” მესამე კონკურსი. საპროექტო განაცხადების ფონდში დარეგისტრირების ბოლო ვადა იყო 2009 წლის 31 ივლისი. კონკურსში მონაწილეობას იღებდა 35 წლამდე ახალგაზრდა მეცნიერები.

პროექტების რეგისტრაცია

კონკურსის შედეგად საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში დარეგისტრირდა 143 საპროექტო განაცხადი შემდეგი 8 სამეცნიერო მიმართულებით:

1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტექნოლოგიები
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
3. მათემატიკა, მექანიკა
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
5. ედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
6. სამედიცინო მეცნიერებები
7. საინჟინრო მეცნიერებები, მალაქტექნოლოგიური მასალები
8. აგრარული მეცნიერებები

გრაფიკი 1. დარეგისტრირებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით.




რანჟირებული წესით დასაფინანსებლად შეირჩა 32 საპროექტო წინადადება 8 სამეცნიერო მიმართულებით. საპროექტო განაცხადების შეფასებაში მონაწილეობა მიიღო 82 ექსპერტმა.

დაფინანსებული პროექტები


ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების 2009 წლის კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შეირჩა და დამტკიცდა 32 პროექტი, რაც რეგისტრირებული პროექტების საერთო ჯამის 22.38% წარმოადგენს.

გრაფიკი 2. დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი გადანაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით (სულ 32 პროექტი)



1. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
2. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
3. მათემატიკა, მექანიკა;
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
5. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო;
6. სამედიცინო მეცნიერებები;
7. საინჟინრო მეცნიერებები, მალაქტექნოლოგიური მასალები;
8. აგრარული მეცნიერებები

გრაფიკი 3. დაფინანსებული პროექტების ავტორთა პროცენტული გადანაწილება სქესის მიხედვით.



საქმიანობა პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები

ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-ეკვლევითი სტაჟირებისათვის სამეცნიერო გრანტების პროგრამა 2009

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2009 წლის 1 ივლისს გამოაცხადა ახალგაზრდა მეცნიერთათვის „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-ეკვლევითი სტაჟირებისათვის სამეცნიერო გრანტების“ კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-ეკვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას საგრანტო დაფინანსების გზით, რაც საშუალებას აძლევს მათ აიმაღლონ პროფესიული კვალიფიკაცია, დაამყარონ საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტები და შეიძინონ გამოცდილება უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში.

კონკურსის ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერებს საშუალება ეძლეოდათ სტაჟირება გაეწყოთ უცხოეთის წამყვან ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში შემდეგი სამეცნიერო სფეროების მიმართულებით:

- საინჟინრო მეცნიერებები - მიმართულება „გიორგი ნიკოლაძე“
- ფიზიკა და ასტრონომია - მიმართულება „ევგენი ხარაძე“
- ქიმია - მიმართულება „პეტრე მელიქიშვილი“
- დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო - მიმართულება „ალექსანდრე ჯანელიძე“

საკონკურსო განაცხადების ფონდში შემოტანის ბოლო ვადა იყო 2009 წლის 14 აგვისტო.

2009 წლის 14 აგვისტოს „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-ეკვლევითი სტაჟირებისათვის სამეცნიერო გრანტების“ კონკურსის შედეგად შემოვიდა სულ 4 საპროექტო განაცხადი შემდეგი სამეცნიერო მიმართულებით:

3 საპროექტო განაცხადი ქიმიაში – მიმართულება „პეტრე მელიქიშვილი“ 1 საპროექტო განაცხადი ფიზიკასა და ასტრონომიაში - მიმართულება „ევგენი ხარაძე“

პროექტების ტექნიკური შემოწმების შედეგად მოიხსნა ერთი პროექტი მიმართულებით „ევგენი ხარაძე“

კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა სამი ახალგაზრდა მეცნიერი:

1. შორენა სამაკაშვილი
2. აკაკი კალატოზიშვილი
3. თამარ მუზაშვილი




მოქლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები 2009

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2008 წლის 31 ოქტომბერს გამოაცხადა 2009 წლის კონკურსი სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად მოქლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტებზე.

მოქლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების მიზანი იყო საქართველოს მეცნიერებისა და მეცნიერების პოლიტიკაზე მომუშავე პირების მნიშვნელოვან საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის ხელშეწყობა, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გაძლიერდეს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი და მოხდეს ქართველი მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდა მეცნიერებმა, მათ შორის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებმა.


სულ კონკურსის ფარგლებში დარეგისტრირდა 174 განაცხადი.




შედეგები

კონკურსის შედეგად საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა 60 ახალგაზრდა მეცნიერი, რაც შეადგენს ნარმოდგენილი განაცხადების 34.5% - ს. დაფინანსებულ მეცნიერებს საშუალება მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ 27 ქვეყანაში დაგეგმილ მაღალი რანგის სამეცნიერო ფორუმში.

გრაფიკი 1. კონკურსის შედეგად დაფინანსებული განაცხადების რაოდენობა ღონისძიების ჩამტარებელი ქვეყნის მიხედვით



გრაფიკი 2. დაფინანსებული განაცხადების ავტორთა რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება სქესის მიხედვით



სამეცნიერო-პოპულარული ღონისძიებები საჯარო სკოლებისთვის 2009

პროგრამის მიზანი არის საჯარო სკოლების უფროსკლასელებში მეცნიერების პოპულარიზება, მათთვის მეცნიერების მიღწევებისა და სიახლეების გაცნობა, თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის მიწოდება და, შედეგად, მათი დაინტერესება მეცნიერებით.

პროგრამის ფარგლებში, სესფ-ის ფინანსური და ადმინისტრაციული ხელშეწყობით, ქართველი მეცნიერები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ღია, საჯარო ღონისძიებებს კითხულობენ.

2008 წლის 5 დეკემბერს გამოაცხადდა მეორე კონკურსი, რომელიც განხორციელდა 2009 წელს.

კონკურსის ფარგლებში დარეგისტრირდა 68 საპროექტო წინადადება.

პროგრამა განხორციელდა საქართველოს შემდეგ ქალაქებში:

თბილისი, ქუთაისი, გორი, რუსთავი, თელავი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი.

თითოეული პროექტის ხანგრძლივობა იყო 6 თვე.

2009 წელს პროგრამამ მოიცვა შემდეგი 7 დისციპლინა:

ქიმია

ფიზიკა

ბიოლოგია და მედიცინა

ასტრონომია და კოსმოლოგია

გეოგრაფია, ეკოლოგია, გეოლოგია

საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები

მათემატიკა

დასაფინანსებლად შეირჩა 13 საპროექტო წინადადება.

ღონისძიებები ჩატარდა 2009 წლის თებერვალში, აპრილში, მაისში, ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში.



სამეცნიერო აპარატურა

სამეცნიერო აპარატურის შესაძენად ჩატარებული საგრანტო კონკურსი მიზნად ისახავს საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლებას, თანამედროვე აპარატურაზე სამეცნიერო ჯგუფების ხელმისაწვდომობის გაზრდას და, ამით, ქვეყანაში სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებას. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ხელს უწყობს როგორც საგრანტო კონკურსში მონაწილე, ისე ყველა სხვა დაინტერესებულ უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, აქტიურად ითანამშრომლონ იმ ორგანიზაციებთან, სადაც განთავსებულია კონკურსის შედეგად დაფინანსებული სამეცნიერო ცენტრები და მათთვის საჭირო აპარატურა.

2009 წლის 24 ნოემბერს სესფ-ის სამეცნიერო საბჭოზე დასაფინანსებლად დამტკიცდა 7 პროექტი სამეცნიერო აპარატურის შესაძენად, რომელთა მოთხოვნილი ჯამური თანხა შეადგენს **1,478,713 ლარს**.

№	ორგანიზაცია	ბიუჯეტი (ლარი)
1	ხელნაერთა ეროვნული ცენტრი	282 456
2	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი	390 031
3	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი	252 000
4	ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი	174 835
5	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	307 273
6	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	46 309
7	მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტი	25 809
სულ		1 478 713




განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების პროგრამა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 15 მაისის №280 ბრძანების თანახმად საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა განახორციელა “განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის — ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების” პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევის, მომზადებისა და მონაწილეობის ადმინისტრირება შემდეგ საგნებში: ფიზიკა, მათემატიკა და ინფორმატიკა.

სულ ჩატარდა 6 შესარჩევი ტური.

გრაფიკი 1. შესარჩევი ტურის შედეგად გამოვლენილი მოსწავლეების რაოდენობა საგნების მიხედვით.



საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ასევე უზრუნველყო საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული მოსწავლეების ერთთვიანი მომზადება.

საერთაშორისო ოლიმპიადები ჩატარდა გერმანიაში (მათემატიკა), მექსიკაში (ფიზიკა) და ბულგარეთში (ინფორმატიკა). ნაკრებმა გუნდებმა აჩვენეს საკმაოდ კარგი შედეგი.

ცხრილი 1. მოპოვებული ჯილდოების რაოდენობა

№	დისციპლინა	ჯილდოების რაოდენობა		
		ვერცხლი	ბრინჯაო	საპატიო სიგელი
1	მათემატიკა	3	2	1
2	ფიზიკა		1	
3	ინფორმატიკა	1	3	



საერთაშორისო თანამშრომლობა

- სესფ-ის საერთაშორისო საქმიანობა ხორციელდება ძირითადად 4 მიმართულებით:
 - I. სესფ-ის ერთობლივი საერთაშორისო პროგრამები;
 - II. საქართველოს მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
 - III. სესფ-ის მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში;
 - IV. საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა

I. სესფ-ის ერთობლივი საერთაშორისო პროგრამები ხორციელდება ძირითადად ერთობლივი პროექტების საშუალებით, რომელთა შერჩევაც ხდება სესფ-ის და მისი უცხოელი პარტნიორი ორგანიზაციების თანადაფინანსებით ორგანიზებულ საგრანტო კონკურსების გზით. აღნიშნულმა თანამშრომლობამ შესაძლებელი გახადა 2006-2009 წლებში უცხოელი პარტნიორების მხრიდან საქართველოს მეცნიერთა დაფინანსებისათვის თითქმის **2 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა** (სესფ-მა გაიღო დაახლოვებით 1.8 მილიონი აშშ დოლარი).



1. სესფ-ი და STCU (მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი უკრაინაში; დამფინანსებლები: აშშ, კანადა, ევროკავშირი). ერთობლივი პროგრამის **“მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივები”** ძირითადი ამოცანაა საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება. (ამასთან აუცილებელი პირობაა პროექტებში ე.წ. მეიარაღე მეცნიერთა მონაწილეობა მათი სამოქალაქო/მშვიდობიანი შინაარსის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის მიზნით).

პროგრამის სამეცნიერო პრიორიტეტებია: ა) ბიოტექნოლოგიები და მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ; ბ) ენერგოეფექტურობა; გ) საინფორმაციო ტექნოლოგიები; პროგრამის ფარგლებში 2006 წლიდან ჩატარდა 4 კონკურსი (მე-4 კონკურსის შედეგები შეჯამდება 2010 წლი მაისში).

ცხრილი 1. სესფ-ისა და STCU-ის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტი გადანაწილება წლების მიხედვით

ორგანიზაცია	ბიუჯეტი \$			სულ
	2006-2007	2007-2008	2008-2009	
გამოყოფილი სესფ-ის მიერ	175 000	200 000	385 000	760 000
გამოყოფილი STCU-ის მიერ	175 000	200 000	385 000	760 000
სულ საგრანტო თანხა	350 000	400 000	770 000	1 520 000
დაფინანს. პროექტების რაოდენობა	7	8	11	26



2. სესფ-ი და CRDF (სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი; დამფინანსებელი: აშშ).

ერთობლივი პროგრამის **“სამეცნიერო-ტექნოლოგიური სამეწარმეო პროგრამის (STEP)”** ძირითადი ამოცანაა საქართველოში სამეცნიერო საქმიანობის კომერციალიზების ხელშეწყობა.

მონაწილეობის აუცილებელი პირობაა გრანტის მაძიებელ მეცნიერთა ჯგუფის საწარმოსთან თანამშრომლობა და მისგან დაფინანსების არსებობა (პროექტის ბიუჯეტის 10-15%).

პროგრამის ფარგლებში 2006 წლიდან ჩატარდა 4 კონკურსი.

საქმიანობა საერთაშორისო თანამშრომლობა



ცხრილი 2. სესფ-ისა და CRDF-ის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტი გადანაწილება წლების მიხედვით

ორგანიზაცია	ბიუჯეტი \$				სულ
	2006-2007	2007-2008	2008-2009	2009-2010	
გამოყოფილი სესფ-ის მიერ	156 000	117 000	117 000	117 000	507 000
გამოყოფილი CRDF-ის მიერ	40 000	30 000	30 000	30 000	130 000
სულ საგრანტო თანხა	196 000	147 000	147 000	147 000	637 000
დაფინანს. პროექტების რაოდენობა	8	6	6	6	26

3. სესფ-ი და CRDF (სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი; დამფინანსებელი: აშშ).

ერთობლივი პროგრამის “**ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა (GNSS-I-II)**” მიზანია საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვა საერთაშორისო დონის კვლევებში, მათ შორის აშშ-ს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში 3 თვიან მივლინების გზით.

პროგრამის ფარგლებში 2007 წლიდან ჩატარდა 2 კონკურსი.

ცხრილი 3. სესფ-ისა და CRDF-ის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტი გადანაწილება წლების მიხედვით

ორგანიზაცია	ბიუჯეტი \$		სულ
	2008-2009	2009-2010	
გამოყოფილი სესფ-ის მიერ	60 000	40 000	100 000
გამოყოფილი CRDF -ის მიერ	112 500	75 000	187 500
სულ საგრანტო თანხა	172 500	115 000	287 500
დაფინანს. პროექტების რაოდენობა	15	10	26



4. სესფ-ი და CRDF (სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი; დამფინანსებელი: აშშ).

ერთობლივი პროგრამის “**კვლევისა და განათლების ცენტრები (CORE)**” მიზანია საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევების განვითარება, უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო ცენტრების შექმნის გზით.

2006 წელს ჩატარებული ერთობლივი კონკურსის შედეგად დაფინანსდა ილიას უნივერსიტეტი, სადაც შეიქმნა კავკასიის ბიომრავალფეროვნების შემსწავლელი ცენტრი. **სესფ-მა გაიღო 50,000 აშშ დოლარი, ხოლო CRDF-მა 250,00 აშშ დოლარი.**

5. სესფ-ი და INTAS-ის (ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალ დამოუკიდებელ სახელ-



მნიფოთა მეცნიერებთან თანამშრომლობის მხარდამჭერი საერთაშორისო ასოციაცია) ერთობლივი ინიციატივის შედეგად ჩატარდა ორი კონკურსი:

ა) კონკურსი: “INTAS-ი — სამხრეთ კავკასია 2006”.

2007-2009 წლებში დაფინანსდა 17 სამეცნიერო პროექტი, მათგან 12 საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობით. სესფ-ის მიერ გამოყოფილი იქნა 150,000 ევრო, (იმჟამინდელი კურსით დაახლოებით 200,000 აშშ დოლარი). ხოლო INTAS-ის მხრიდან გაღებულმა თანხამ შეადგინა 420,000 ევრო (დაახლოებით 550,000 აშშ დოლარი).

ბ) კონკურსი: “ახალგაზრდა მეცნიერთა სასტიპენდიო გრანტი”.

2006-2008 წლებში დაფინანსდა 9 ინდივიდუალური სამეცნიერო პროექტი (ახალგაზრდა მეცნიერი). სესფ-ის მიერ გამოყოფილი იქნა სულ 80,000 ევრო, ხოლო INTAS-ის მხრიდან გაღებულმა თანხამ შეადგინა 50,000 ევრო (იმჟამინდელი კურსით დაახლოებით 65,000 აშშ დოლარი).



6. სესფ-ის და CNRS-ის (საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი) “საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის” ფარგლებში 2009 წელს გაიმართა პირველი ერთობლივი კონკურსი. კონკურსის სამეცნიერო პრიორიტეტები იყო: ა) მათემატიკა, ბ) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, გ) დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები.

დაფინანსდა 3 ერთობლივი პროექტი პრინციპით: თითოეული ქვეყანა აფინანსებს მხოლოდ მისი მოქალაქეების/მეცნიერების მონაწილეობის ხარჯებს. სესფ-ი სამივე პროექტისთვის მთლიანობაში გამოყოფს 60,000 ევროს (დაახლოებით 80,000 აშშ დოლარს).

II. საქართველოს მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა

1. საკონსულტაციო-საინფორმაციო დახმარება

- სესფ-ში მოქმედებს NATO-ს პროგრამის “მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის (SPS)” საინფორმაციო ბიურო, რომელიც ეწევა შე-

საბამისი ინფორმაციის გავრცელებას და საქართველოს მეცნიერთა საკონსულტაციო დახმარებას მათი SPS-ში მონაწილეობის გაფართოვების მიზნით.

- სესფ-ი წარმოადგენს ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამის (FP7) ეროვნულ საკონტაქტო ორგანიზაციას (NCP) და შესაბამისად ახორციელებს ქართველ მეცნიერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო დახმარებას, მართავს სემინარებსა და საინფორმაციო დღეებს (მათ შორის მონვეული უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით), რითაც ხელს უწყობს საქართველოს მეცნიერთა უფრო აქტიურ მონაწილეობას FP7-ში.

2. მატერიალური წახალისება

- NATO-ს სამეცნიერო პროგრამაში „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის სტიმულირებისთვის, ორი ქვეპროგრამის: „მეცნიერება მშვიდობისათვის“ (SFP) და „ქსელური ინფრასტრუქტურის გრანტები“ (NIG) ფარგლებში გამარჯვებული პროექტების მონაწილე ქართველ მეცნიერებს 2008 წლიდან ეძლევათ სახელმწიფო სტიპენდიები (შესაბამისად თვეში 500 და 300 ლარი).

III. სესფ-ის მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სესფ-ისა და ესტონეთის სამეცნიერო ფონდის „არქიმედეს“-ის მიერ 2007-2008 წლებში განხორციელდა პროექტი N/Tacis 123052, რომლის მიზანი იყო საქართველოსთვის მეცნიერების ადმინისტრირების ეფექტური მოდელის შექმნა ევროკავშირის გამოცდილების გათვალისწინებით. პროექტი განხორციელდა ევროკავშირის დაფინანსებით.

2. სესფ-ი ესტონელ კოლეგებთან (Invent Baltics OÜ) და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად 2008-2009 წლებში მუშაობდა პროექტზე **IN-NOTRANS**, რომლის მიზანი იყო საქართველოსთვის ესტონეთის გამოცდილების გაზიარება ინოვაციისა და ტექნოლოგიის გადაცემის ხელშემწყობი სტრუქტურების შექმნასა და განვითარებაში. პროექტს აფინანსებდა ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო.



3. ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამაში (FP7) მონაწილეობა.

- 2008 წლიდან სესფ-ი მუშაობს FP7-ის ფარგლებში დაფინანსებულ 4 წლიან პროექტზე “აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში” (IncoNet EECA). პროექტში მონაწილეობს 21 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 10 წევრი სახელმწიფოს) 23 ორგანიზაცია.
- 2009 წლიდან სესფ-ი მუშაობს FP7-ის ფარგლებში დაფინანსებულ 3 წლიან პროექტზე “შავი ზღვის რეგიონში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კავშირების დამყარება” (BS-ERA.NET), რომელიც მიზნად ისახავს შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის დადგენას, ეროვნული პროგრამების ურთიერთკოორდინაციას, ერთობლივი კონკურსების ორგანიზებას და სხვა. პროექტში მონაწილეობს 12 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 5 წევრი სახელმწიფოს) 17 ორგანიზაცია.



IV. საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა

1. მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში

- 2006-2008 წლებში სესფ-ის 2 თანამშრომელი იყო NATO-სთან ინდივიდუალური პერტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) სამთავრობო სამუშაო ჯგუფის წევრი. სამუშაო ჯგუფის საქმიანობა მოიცავდა მეცნიერებისა და გარემოს დაცვის პრობლემატიკას.
- სესფ-ის დირექტორი არის NATO-ს პროგრამის “მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის” კომიტეტის წევრი საქართველოს მხრიდან.
- სესფ-ის თანამშრომლები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას BSEC-ის წევრი ქვეყნების მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროს სამუშაო ჯგუფის სხდომებში.

2. საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზაცია

2006-2009 წლებში სესფის მიერ ორგანიზებული იყო 10-ზე მეტი მასშტაბური საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება, რომელთაგან ავღნიშნავთ რამოდენიმეს:

- საერთაშორისო სემინარი “INTAS-სამხრეთ კავკასია I” (2006 წელი).
- საერთაშორისო სემინარი “INTAS-სამხრეთ კავკასია II” (2007 წელი).
- საერთაშორისო სემინარი “NATO SPS — საქართველო” (2007 წელი).
- NATO-ს მონაწილე სწავლების კურსები “მეცნიერება როგორც უსაფრთხოების ხელშეწყობის საშუალება” (2007 წელი).

3. სესფ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებები თანამშრომლობის შესახებ


- სესფ - STCU (საერთაშორისო ორგანიზაცია: აშშ, კანადა, ევროკავშირი): “მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ” (2006 წელი).
- სესფ - CRDF (აშშ): “შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ” (2006 წელი).
- სესფ - CNRS (საფრანგეთი): “შეთანხმების ოქმი თანამშრომლობის შესახებ” (2008 წელი).
- სესფ - DFG (გერმანია): “მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ” (შეთანხმებულია, ხელმოწერა მოხდება 2010 წლის მაისში).
- სესფ - CNR (იტალია): “მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ”
- სესფ - TUBITAK (თურქეთი): “მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ” (მიმდინარეობს მოლაპარაკება).

ფინანსური საქმიანობა

გრაფიკი 1. სესფ-ის ბიუჯეტი 2009 წელს




გრაფიკი 2. სესფ-ის ბიუჯეტი 2006, 2007, 2008 და 2009 წლებში



ცხრილი 1. სამეცნიერო პროგრამების ბიუჯეტი

№	სამეცნიერო პროგრამები და გრანტები	ბიუჯეტი
1	სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები	11 662 737
2	პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის	728 772
3	ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის	142 317
4	სხვადასხვა სტიპენდიები ახალგაზრდა მეცნიერთათვის	44 750
5	სტიპენდიები NATO-ს პროგრამებში მონაწილე მეცნიერთათვის	154 520
6	პროგრამა "მეცნიერების პოპულარიზაცია"	140 400
7	საქართველო-INTAS -ის ერთობლივი პროგრამები	18 139
8	CRDF-GRDF-GNSF ერთობლივი პროგრამები	234 923
9	GNSF-STCU ერთობლივი პროგრამა	458 118
10	საწვერო გადასახადი CERN-ში	75 637
11	ობოლი და მზრუნველობა მოკლებული მაგისტრანტების სასწავლო გრანტები	10 000
12	დევნილი მაგისტრანტ-დოქტორანტების სასწავლო გრანტები	118 000
13	ექსპერტების ანაზღაურება	53 090
14	სამეცნიერო აპარატურის გრანტები	1 451 380
15	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების ხელფასები	376 675
16	ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირების პროგრამა	26 906
17	GNSF-CNRS ერთობლივი პროგრამა	74 615
	სულ	15 770 979

გრაფიკი 3. თემატური პროგრამების ბიუჯეტის განაწილება 2009 წელს



აბრევიატურები:

სესფ	საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
უსტც	უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი (STCU)
NATO	ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი
BSEC	შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა
CRDF	აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი
GRDF	საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი

